საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12603/01
07/12/2021

12603-01-2-202112071222

შპს „ავზი 94”-ს
მის: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, N65
ელ. ფოსტა: avzi1994@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 ნოემბერის N20703 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში მდებარე შპს „ავზი 94”-ის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის (4950.0 მ^3 მოცულობის სარეზერვუარო პარკით) სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიის კუთვნილი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის N65-ში. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ N81.05.02.724 ნაკვეთი მდებარეობს კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, რუსთავის გზატკეცილის მიმდებარედ, ცოტნე დადიანის N6-ში. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში მოცემული არ არის საპროექტო ტერიტორიის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (მათ შორის: სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი/რეჟიმი, წარმადობა/ტვირთბრუნვა და სხვა);
- სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ობიექტის ტექნოლოგიური ციკლის/სქემის შესახებ, შესაბამისი თანმიმდევრობით. ამასთან, დასაზუსტებელია პროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრაფიკის და მიღება-გაცემის პროცედურების შესახებ ინფორმაცია;
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ არის განხილული და საჭიროებს დაზუსტებას;

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- დოკუმენტის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 88 მეტრით. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 23 მეტრით, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული საწვავის შესაძლო ავარიული დაღვრის საკითხები (ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები);
- არ არის მოცემული ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების (სახიფათო; არასახიფათო) წარმოქმნის და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია „აგს'' სისტემის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს სარეზერვუარო პარკში, შესაძლო ავარიული სიტუაციის დროს რეზერვუარ(ებ)იდან დაღვრილი პროდუქტის საერთო მოცულობის შეკავების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის სარეზერვუარო პარკის შემომზღუდავი ბარიერის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი პარამეტრების მითითებით;
- დაზუსტებას საჭიროებს ავარიულად დაღვრილი პროდუქციის შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სალექარის და ნავთობდამჭერი ფილტრსეპარატორის შესახებ. ამასთან დასაზუსტებელია გამწმენდ სისტემაში დაგროვილი ნავთობშლამების და მათი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გარემოს სახვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასების შესახებ. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზემოქმედების შემაჯამებელი ცხრილები, რომელიც საკმაოდ ზოგადია არ ასახავს დაგეგმილი საქმიანობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებას;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია რეკუპერაციის სისტემის მოწყობის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ყველა რეზერვუარი აღჭურვილია СМДК -150 -ით და ბენზინის ვერტიკალურ რეზერვუარებში დამატებითაც გამოყენებული იქნება КПГ-150". დაზუსტებას საჭიროებს СМДК -150 და КПГ-150 შესახებ ინფორმაცია, ქართული აბრევიატურის მითითებით (ასევე ქართული აბრევიატურით უნდა იყოს მითითებული სკოპინგის ანგარიშში მოცემული სხვადასხვა ჩანაწერები, მაგ: АСН-100А);
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ჩასატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ, რომელიც არა არის სათანადოდ ასახული წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. სკოპინგის

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით/შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე